

ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ

ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებების
ვხცედი სამაჩთღებჩივი ანადიზი




სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ

*ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებების ვრცელი სამართლებრივი
ანალიზი*

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე, ანი ისაკაძე

მკვლევარი: ანი ისაკაძე

ყდის დიზაინი როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანი ისაკაძე, "ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი", 2024.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი.....	5
სქესის სამართლებრივი აღიარების უფლება	6
სქესის სამართლებრივ აღიარების აკრძალვასა და ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისების კრიმინალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ...	6
სქესის სამართლებრივი აღიარება საქართველოში - კანონმდებლობის არარსებობა და თვითნებური ადმინისტრაციული პრაქტიკა	9
საერთაშორისო სამართლის უფლებრივი სტანდარტები, სქესის სამართლებრივი აღიარების შესახებ.....	10
ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების უფლება.....	13
ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები.....	13
ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში	15
საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებრივი სტანდარტები ლგბ(ქ)ტი პირების ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრირების უფლების შესახებ...	16
შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლება	18
ინიცირებული საკანონმდებლო აკრძალვები, ლგბ(ქ)ი პირების მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის შესახებ	18
ლგბ(ქ)ი პირთა უფლებების დაცვის საკითხი შვილად აყვანისას- საქართველოში არსებული კანონმდებლობა.....	19
ლგბ(ქ)ი პირების მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლებრივი სტანდარტები	20
ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში.....	23
სამაუწყებლო სივრცის ცენზურა	23
არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა	24

ჩარევა აკადემიურ თავისუფლებაში- მასწავლებლებისა და ლექტორების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.....	25
ცენზურის დაუშვებლობა-ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტები.....	26
გამოხატვის თავისუფლების უფლებრივი სტანდარტები.....	28
საერთაშორისო სამართლის მიდგომები აკადემიური თავისუფლების შესახებ	29
შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება	30
ინიცირებული საკანონმდებლო შეზღუდვები შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ	30
საქართველოში ლგბტ(ქ)ი პირების ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეზე წვდომა - პრობლემის აღწერა.....	32
საერთაშორისო სტანდარტები ლგბტ(ქ)ი პირების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ.....	32
ვენეციის კომისიის შეფასება შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლების მზლუდავი ნორმების შესახებ	34
შეჯამება	36

შესავალი

2024 წლის 4 აპრილს, „ქართულმა ოცნებამ“ ჰომოფობიური საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი დააინიცირა.¹ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტით დაგეგმილი იყო „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვისათვის“ საჭირო კონსტიტუციური გარანტიების შექმნა. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიღმა, ხელისუფლებამ დაგეგმა ახალი კონსტიტუციური კანონის მიღებაც, რომელიც „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვას“ ისახავდა მიზნად.

„ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს, ამდენად პარლამენტმა ვერ შეძლო საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის საჭირო მხარდაჭერის მოპოვება, რის გამოც, მმართველმა პარტიამ, 2024 წლის 4 ივნისს, ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების მზღუდავი, ახალი, მასშტაბური, 19 კანონპროექტისგან შემდგარი პაკეტი დააინიცირა,² რომელიც (უბრალო) უმრავლესობის წესით, პარლამენტმა მესამე მოსმენით 17 სექტემბერს მიიღო,³ ხოლო 2024 წლის 2 დეკემბერს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საბოლოოდ ამოქმედდა. საკანონმდებლო ცვლილების სამართლებრივი საფუძველი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონია, დანარჩენი 18 კანონი კი, დამატებით სხვადასხვა მოქმედ კანონში ცვლილებას შეეხება.

წინამდებარე დოკუმენტი, ხელისუფლების მიერ თავდაპირველად შემუშავებულ საკონსტიტუციო ინიციატივასა და უკვე ამოქმედებულ რეპრესიულ კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, სქესის სამართლებრივი აღიარების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების პერსპექტივიდან შეაფასებს.

¹ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GepraLmQ>

²ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zeprfDKv>

³ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1e96ac3n>

სქესის სამართლებრივი აღიარების უფლება

სქესის სამართლებრივი აღიარების აკრძალვისა და ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისების კრიმინალიზებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

საკანონმდებლო ცვლილებებით, სქესის სამართლებრივი აღიარების მზღუდავი ნორმები, ერთდროულად იქნა გათვალისწინებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტსა და დღესდღეობით უკვე მოქმედ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონში.

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებებთან ერთად, ახალი კონსტიტუციური კანონის მიღებასაც გულისხმობდა, რომლის პირველი ხუთი პუნქტიც ადამიანის იდენტობისა და პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დათქმებს, მათ შორის, სქესის შეცვლისა და სამართლებრივი აღიარების ამკრძალავ ჩანაწერსაც ითვალისწინებდა.

კონსტიტუციური კანონის პროექტით, იკრძალებოდა ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა,⁴ ამასთან, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში პირის გენეტიკური მონაცემების შესაბამისად, მხოლოდ მდებარეობით ან მამრობითი სქესის მითითება იქნებოდა ნებადართული.⁵ საკონსტიტუციო ცვლილებები, ბათილად ცნობდა, საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავდა.⁶

ვინაიდან, მმართველმა გუნდმა ვერ შეძლო კონსტიტუციური ცვლილებების დამტკიცება, „ქართულმა ოცნებამ“ სქესის სამართლებრივ აღიარებასა და ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვის სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული აკრძალვები, საბოლოოდ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონით მიიღო.

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონი ქალის, მამაკაცის და სქესის დეფინიციას განსაზღვრავს და კანონის მიზნებისათვის განმარტავს, რომ ქალისა და მამაკაცის სქესი მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირდება.⁷ ამგვარად, კანონით, სახელმწიფოს მიერ გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტში, ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება აიკრძალა.⁸

⁴საქართველოს კონსტიტუციური კანონი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 1-ელი მუხლის მე-3 ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/iepnzsRT>

⁵იქვე. 1-ელი მუხლის მე-4 ნაწილი.

⁶იქვე. 1-ელი მუხლის მე-5 ნაწილი.

⁷საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Ne96Ds5Y>

⁸იქვე. მე-7 მუხლი სრულად.

ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებს კანონით აკრძალათ იმგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ანდა უცხო ქვეყნის ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომელიც ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას გულისხმობს.⁹

გენდერის ვიწრო, ბინარული გაგების სავალდებულოობა, შრომით ურთიერთობებზეც გავრცელდა და დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის მიღწეული თითოეული ის შეთანხმება, რომელიც არაბინარული ტერმინების გამოყენებასა და ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს, ბათილად იქნა გამოცხადებული.¹⁰

მნიშვნელოვანია, კანონში გაკეთებული ჩანაწერი,¹¹ რომ ეს აკრძალვები რეტროსპექტიულად არ გავრცელდება სახელმწიფოს მიერ, კანონის ამოქმედებამდე გაცემულ იმ დოკუმენტებზე, რომლებშიც, ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებული სქესი იქნა მითითებული.¹² ამრიგად, ტრანსგენდერი ადამიანების მიერ წარსულში გაწეული ძალისხმევა, რომელიც მათ სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში სქესის შესაცვლელად გაიღეს, არ იქნება უგულვებელყოფილი, შესაბამისად, კანონის ამოქმედებამდე გაცემული ის სახელმწიფო დოკუმენტები, რომლებშიც შეცვლილი სქესის მარკერი აისახა კვლავ ვალიდურად რჩება.

თუმცა, საგანგაშოა, რომ ექსპლიციტურად აკრძალა ტრანსპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

კანონის მიხედვით, დაუშვებელია განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის (მათ შორის ჰორმონალური თერაპიის) სხვის მიმართ გამოყენება.¹³

სქესის სამართლებრივი აღიარებისა და სქესის შეცვლის მზლუდავი საკანონმდებლო დათქმების შემდგომი იმპლემენტირებისათვის, უკვე მოქმედ კანონმდებლობებშიც იქნა ცვლილებები შეტანილი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებები, რომლითაც ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო სერვისები კრიმინალიზდა და განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარებისა ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენებისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრა, ხოლო

⁹იქვე.მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი

¹⁰იქვე.მუხლი 11.

¹¹იქვე.მე-7 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები.

¹²საქართველოს კანონი, სამოქალაქო აქტების შესახებ, მე-6¹ მუხლის 1-ელი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Fe963toq>

¹³საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, მე-6 მუხლი.

სასჯელის სახით- სამ წლამდე ვადით, თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ანდა ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა იქნა გათვალისწინებული.¹⁴

ცვლილება შევიდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში“, რომლის ახალი, მე-14¹ მუხლი, დამატებით კრძალავს სქესის შეცვლის ქირურგიულ ოპერაციასა და ამ მიზნით, სხვა სახის ნებისმიერი სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენებას.¹⁵

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის ჩანაწერს, მე-6¹ მუხლი დაემატა, რომლის მიხედვითაც: „სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ადამიანის სქესად მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება, ცვლილება ან/და დამატება დაუშვებელია. ამ მუხლის მიზნებისთვის ბიოლოგიური სქესი არის მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული სქესი- ადამიანი, მიიჩნევა იმ ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლად, რომელიც თავდაპირველად მიეთითა მის მიმართ საქართველოში რეგისტრირებულ სათანადო სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, ხოლო სამოქალაქო აქტის ასეთი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში-იმ ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლად, რომელიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის წარდგენილ, მისი ვინაობის დამდგენ სათანადო დოკუმენტშია მითითებული.“¹⁶

იმვე შინაარსის აკრძალვა შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის ახალი, 1² მუხლიც, ამ კანონით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტში, მათ შორის პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, ადამიანის ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითებას კრძალავს.¹⁷

საჯარო სამსახურის შესახებ კანონსა და შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ბათილად იქნა ცნობილი, საჯარო სამსახურში საქმიანობისა და შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული იმგვარი ვალდებულება ანდა შეთანხმება, რომელიც ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფისკენ ან მისი უგულებელყოფის წახალისებისკენაა მიმართული.¹⁸

¹⁴საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Ye3q27h7>

¹⁵საქართველოს კანონი:ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მე-14¹ მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Qe3wWY5K>

¹⁶საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, მე-6¹ მუხლი სრულად.

¹⁷საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, 1² მუხლი, ხელმისაწვდომია:<https://cutt.ly/He3wR7Pe>

¹⁸საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მე-9¹ მუხლი, ხელმისაწვდომია:<https://cutt.ly/Te3wIx1h>,საქართველოს შრომის კოდექსი, 14¹ მუხლი, ხელმისაწვდომია <https://cutt.ly/ze3wP3kN>

სქესის სამართლებრივი აღიარება საქართველოში - კანონმდებლობის არარსებობა და თვითნებური ადმინისტრაციული პრაქტიკა

საქართველოში ტრანსგენდერი ადამიანების სქესის სამართლებრივი აღიარების პროცედურა, ახალი ჰომო/ბი/ტრანსფობიური კანონმდებლობის ამოქმედებამდეც ბუნდოვანი და პრობლემური იყო.

ტრანსგენდერი ადამიანის მიერ სქესის სამართლებრივ აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღები ადმინისტრაციული ორგანო, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობდა.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის გარემოებებს ჩამოთვლის, რომლის „ზ“ ქვეპუნქტიც, კანონიდან ამოღებამდე, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის წინაპირობად, სქესის შეცვლისა და შეცვლილი სქესისამებრ, სახელის ან/და გვარის შეცვლის შესახებ პირის გამოხატული ნებას განსაზღვრავდა.¹⁹

რეალურად, შიდა კანონმდებლობა არასაკმარისად ცხადი იყო და ამრიგად, არ განმარტავდა დამატებით დეტალებს იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული სამედიცინო პროცედურებისა და მტკიცებულებების წარდგენა იყო სავალდებულო, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში სქესის/გენდერის მარკერის შესაცვლელად, რის გამოც, რეგისტრირებული სქესის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციულ ორგანოს გაუმართლებლად ფართო დისკრეციული უფლებამოსილება ენიჭებოდა.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის/გენდერის მარკერის შეცვლის წინაპირობად მხოლოდ სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია იყო საჭირო, რომელსაც წინ უძღოდა ფსიქოლოგებისა და სექსოლოგების შეფასება და ჰორმონალური თერაპია.²⁰

თავის მხრივ, სქესის სამართლებრივი აღიარების ბლანკეტურ წინაპირობად, ქირურგიული ოპერაციის ჩატარების მოთხოვნა, მრავალშრიან პრობლემურ ასპექტებთანაა დაკავშირებული.

ერთი მხრივ, აღიარებულია, რომ ტრანსგენდერი ადამიანების იძულება, სამართლებრივი აღიარების სანაცვლოდ, მტკივნეული სამედიცინო პროცედურები ჩაიტარონ, საბაზისო უფლებრივ სტანდარტს უგულვებლყოფს და ტრანსგენდერი ადამიანების იდენტობას შეურაცხყოფს. მეორე მხრივ, კი ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებსაც ქირურგიული ოპერაციის ჩატარება არ სურთ, ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ქირურგიული ოპერაციის ჩატარება არ შეუძლიათ, ან ამ მკირადღირებული ოპერაციისთვის

¹⁹ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტი.

²⁰ Case of A.D and Others v. Georgia, para:66

საჭირო მატერიალური რესურსი არ გააჩნიათ, დამკვიდრებული პრაქტიკით გენდერის სამართლებრივი აღიარების უფლება სრულად ეზღუდებათ.²¹

ამრიგად, საქართველოში არსებული განუჭვრეტადი და ბუნდოვანი მოწესრიგება, ჰომოფობიური კანონმდებლობის მიღებამდეც, სრულად უფლებელყოფდა, ტრანსგენდერი ადამიანების რეგისტრირებული სქესის მარკერის ცვლილებასა და სამართლებრივ აღიარების უფლებას.

საერთაშორისო სამართლის უფლებრივი სტანდარტები, სქესის სამართლებრივი აღიარების შესახებ

სქესის სამართლებრივი აღიარების უფლება, არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო სამართლის წყაროთია განმტკიცებული.

მათ შორის, მნიშვნელოვანი გზამკვლევაა, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული, ჯოკიაკარტას პრინციპები (The Yogyakarta Principles), რომელიც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს აერთიანებს. აღნიშნული პრინციპები, არსებითადაა გაზიარებული, როგორც სასამართლოების პრეცედენტული პრაქტიკით, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტებისა და სპეციალური მომხსენებლების მიერ.²²

თავის მხრივ, ჯოკიაკარტას მე-3 პრინციპია, რომ: “კანონის წინაშე, თითოეული ადამიანი სამართლებრივ სუბიექტად უნდა აღიქმებოდეს. აუცილებელია, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე ადამიანებს, თავისუფლად ეძლეოდეთ მათი ცხოვრების თითოეული ასპექტის წარმართვისა და სამართლებრივად აღიარების შესაძლებლობა. გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის თვითიდენტიფიკაცია, ყოველი ინდივიდის პიროვნების განუყოფელი ნაწილი და მისი ღირსების, თვითგამორკვევისა და თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ძირეული ასპექტია. დაუშვებელია, სქესისა და გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების სანაცვლოდ, პირს, იძულებით უწევდეს სამედიცინო პროცედურების, სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაციის, სტერილიზაციისა ანდა ჰორმონალური თერაპიის ჩატარება. ამასთან, გაუმართლებელია, სქესისა და გენდერული იდენტობის აღიარებაზე უარის საფუძვლად პირის ოჯახური მდგომარეობისა და ქორწინების სტატუსის გამოიყენება.”²³

ამასთან, ჯოკიაკარტას მე-3 პრინციპი, მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას პირის მიერ თვითგანსაზღვრული სქესის სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტებით აღიარება. დამატებით, მე-3 პრინციპის

²¹ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, გენდერის სამართლებრივი აღიარება საქართველოში, პოლიტიკის დოკუმენტი, გვ.16 ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Cejyie30>

²²The Yogyakarta Principles, Preamble

²³იქვე. მე-3 პრინციპი.

თანახმად, სქესის სამართლებრივი აღიარების პროცედურა ეფექტიანი, განჭვრეტადი და არადისკრიმინაციული უნდა იყოს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება და სქესის სამართლებრივად შეცვლისა და აღიარების მსურველი პირის ღირსებაცა და ჯანმრთელობაც.²⁴

მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელიც არასრულწლოვანთა სქესის შეცვლის გაუმართლებლობაზე მიუთითებს. ჯოკიაკარტას მე-18 პრინციპის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას არასრულწლოვანის მიმართ, სქესის შეუქცევადად შეცვლის სამედიცინო პროცედურის ჩატარება, ვინაიდან ასეთი პროცედურებზე გაცხადებული თანხმობა ლეგიტიმურად, მხოლოდ პირის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით ჩაითვლება.²⁵

ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სქესის სამართლებრივი აღიარების უწყვეტ საერთაშორისო ტენდენციაზე მიუთითებს და კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს, მოუწოდებს, დროულად შექმნან მოქნილი შიდასამართლებრივი სისტემა იმ ადამიანების უფლებრივი სტატუსის უზრუნველსაყოფად, რომელთაც გენდერული ტრანზიციის გაიარეს.²⁶

სასამართლო, გენდერის სამართლებრივი აღიარების უფლებას კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ აფასებს, რომელიც, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას განამტკიცებს და ხაზგასმით მიუთითებს ტრანსგენდერი ადამიანების რეგისტრირებული სქესის მარკერის ცვლილებისთვის საჭირო სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების შემუშავებისა და დამკვიდრების აუცილებლობაზე.²⁷

სასამართლო, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი სამართლებრივი სისტემის შეფასებისას სახელმწიფოების მიხედულობის ფარგლებზეც საუბრობს და აღიარებს, რომ კონკრეტული საკითხების რეგულირებისას, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს მართლაც ფართო მიხედულობის ფარგლები ენიჭებათ. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ იდენტობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების მოწესრიგებისას, სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულობის ფარგლები შეზღუდულია. ამდენად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი, წევრ სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების მიერ განვლილი ტრანზიციის სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტებით აღიარონ.²⁸

სასამართლო აღნიშნავს, რომ სქესის შეცვლის შესახებ ინდივიდის გადაწყვეტილება, მრავალრიცხოვან მტკივნეულ სამედიცინო მანიპულაციებსა და ინტერვენციებთანაა

²⁴იქვე.

²⁵იქვე. მე-18 პრინციპი.

²⁶Case of Christine Goodwin v. The United Kingdom, para:84

²⁷Case of X v. The Former Yugoslav Republic of Macedonia, para:70

²⁸Case of L.v. Lithuania, para:56

დაკავშირებული, ამდენად, დაუშვებელია, სქესის შეცვლის სურვილი სახელმწიფოების მხრიდან, კონკრეტული პირის კაპრიზად ანდა დაუსაბუთებელ ახირებად იქნას დანახული.²⁹

ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სქესის სამართლებრივი აღიარების საკითხზე, საქართველოს წინააღმდეგაც აქვს მიღებული გადაწყვეტილება, საქმეზე „A.D and Others v. Georgia“.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ევროპულმა სასამართლომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მოიშველია, რომელიც თავის მხრივ, სამოქალაქო აქტებში სქესის/გენდერის მარკერის შეცვლის უფლების არსებობას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ სფეროდ განმარტავს.³⁰ თუმცა, სასამართლოს შეფასებით, საქართველოში არსებული სამართლებრივი პრაქტიკა, კონსტიტუციური და შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების უგულვებელყოფით, გამორიცხავდა სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობას.

ევროპულმა სასამართლომ, მიიჩნია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ბუნდოვანება ძირს უთხრიდა გენდერის სამართლებრივი აღიარების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას და ამასთან, გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოებს, გაუმართლებლად ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებდა, რამაც საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარების მსურველი პირების განცხადებებზე თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების მომეტებული რისკი შექმნა. აღნიშნულ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველოში, გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის საჭირო სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების არარსებობა და სახელმწიფოს მხრიდან, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.³¹

მმართველი გუნდის მიერ შემუშავებულ საკონსტიტუციო ცვლილებები, ვენეციის კომისიამ შეაფასა და კრიტიკული მოსაზრება გამოაქვეყნა.³² მიუხედავად იმისა, რომ კომისიას არ უმსჯელია კონსტიტუციური კანონის შემდეგ ხელისუფლების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების ფართო პაკეტზე, კონსტიტუციურ კანონპროექტზე მის მიერ გაკეთებული შეფასებები რეგულატორია „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის ძირითადი ჩანაწერების მიმართაც, მათ შორის, სქესის სამართლებრივი აღიარების კონტექსტში.

კომისია აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და არაბინარული ინდივიდები ვერ შეძლებენ განვლილი გენდერული ტრანზიციის სამართლებრივ აღიარებას. კომისიის შეფასებით,

²⁹იქვე.para:81

³⁰Case of A.D and Others v. Georgia,para:70

³¹იქვე.para:76

³²CDL-AD(2024)021-e Georgia - Opinion on the draft constitutional law on Protecting Family Values and Minors, adopted by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/qesYiFKk>

სქესის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობის ექსპლიციტური აკრძალვით, ხელისუფლება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებას არღვევს, ხოლო მეორე მხრივ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერის ნიშნით მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნასაც უგულვებელყოფს.³³

ამრიგად, „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების კონტექსტში, არ შეესაბამება, საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ უფლებრივ სტანდარტებსა და მიდგომებს. აღნიშნული საკითხი „A.D and Others v. Georgia“ საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის ფარგლებში ასევე გახდება მინისტრთა კომიტეტის მსჯელობის საგანი და აშკარაა, რომ ამგვარი კანონმდებლობის მიღების შემთხვევაში, საქართველო ევროპული კონვენციით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემის წინაშე შეიძლება დადგეს.

ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების უფლება

ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

ძირითადი კანონის მიღებამდე შემუშავებული კონსტიტუციური ცვლილებები, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანასა და ჰომო/ბი/ტრანსფობიური მიზნებისათვის, კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზებასაც გულისხმობდა.³⁴ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს, რომელიც, თავის მხრივ, ქორწინების უფლებასა და დედათა და ბავშვთა უფლებებს აწესრიგებს, უნდა დამატებოდა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.“³⁵

ამასთან, „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტი, ამ აკრძალვას განავრცობდა და კონსტიტუციური კანონით ადგენდა, რომ, კანონმდებლობით შესაძლებელი იქნებოდა ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობის მოწესრიგება, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.³⁶

³³იქვე. პარა №54-55

³⁴ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/TepnaWsk>

³⁵კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს 1-ელი მუხლი.

³⁶„ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის 1-ელი მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/dejoDalu>

თუმცა, ვინაიდან, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის საჭირო საპარლამენტო მხარდაჭერის მოპოვება ვერ შეძლო, იმავე შინაარსები უკვე ამოქმედებულ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონში ასახა, რომელიც, ზედმიწევნით იმეორებს ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სულისკვეთებას და შესაბამისად, ქორწინების საკითხთან დაკავშირებულ იდენტურ აკრძალვებს ითვალისწინებს.

კანონის მიხედვით, ქორწინების დეფინიცია, ოჯახის შექმნის მიზნით განსხვავებული ბიოლოგიური სქესის ორი ადამიანის ნებაყოფლობით იმგვარ კავშირს გულისხმობს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სხვა სახის კავშირის, როგორც ქორწინების, რეგისტრირება ანდა სამართლებრივი აქტით ქორწინებად აღიარება დაუშვებლადაა ცნობილი.³⁷ ამგვარად, ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის კავშირის, როგორც ქორწინების, რეგისტრირებას ან/და სამართლებრივი აქტით აღიარებას, კანონი დღესდღეობით უკვე ექსპლიციტურად კრძალავს, ხოლო საზღვარგარეთ რეგისტრირებული/აღიარებული ქორწინება კი ბათილადაა გამოცხადებული.

ქორწინებასთან ერთად, კანონით შეიზღუდა ალტერნატიული სამოქალაქო კავშირის რეგისტრირების შესაძლებლობაც და დადგინდა, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისათვის ქორწინების ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით აღიარება დაუშვებელია. ხოლო ქორწინების მსგავსად, საზღვარგარეთ რეგისტრირების შემთხვევაში, არც ასეთ კავშირს ექნება საქართველოში იურიდიული ძალა.³⁸

ქორწინების აკრძალვის შესახებ, ძირითადი კანონპროექტით განსაზღვრული საკითხების შემდგომი იმპლემენტაციისათვის შესაბამისი ცვლილებები აისახა საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიღების შემდგომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი, რომელიც თავის მხრივ, ქორწინების სამართლებრივ ცნებას არეგულირებს, შეიცვალა. ახალი რედაქციით, ქორწინება, ექსკლუზიურად, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირად იქნა განმარტებული. ამასთან, დაზუსტდა, რომ ამ მუხლის მიზნებისთვის ქალი არის მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მდედრობითი სქესის ადამიანი, ხოლო მამაკაცი – მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მამრობითი სქესის ადამიანი.³⁹

³⁷ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილი.

³⁸ იქვე. მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი.

³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1106-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/je3eEYV3>

იდენტური ცვლილება შევიდა, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომელსაც, 54¹- ე მუხლი დაემატა და როგორც ქორწინების ალტერნატიული კავშირის, ისე ქორწინების რეგისტრაცია და სამართლებრივი აქტით აღიარებაც, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისათვის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითაც აიკრძალა.⁴⁰

ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში

ჰომო/ბი/ ტრანსგობიური კანონის ამოქმედებამდეც კი, ქორწინების უფლების მარეგულირებელი ნორმები, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს სამართლებრივი აღიარების მიღმა ტოვებდა.

2017 წელს განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებამდე, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, ქორწინების ცნებას გენდერულად ნეიტრალური ტერმინებით აღწერდა და მის დეფინიციას, მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობაზე დაფუძნებულ კავშირად განმარტავდა.⁴¹

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად კი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, ლგბტ(ქ)ი პირების ქორწინების კონსტიტუციური აკრძალვა იყო.⁴²

განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელიც ქორწინების უფლებას აწესრიგებს, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: “ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.”⁴³

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, ქორწინების ცნებას, სამოქალაქო კოდექსიც, ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით რეგისტრირებულ კავშირად განმარტავს.⁴⁴

თავის მხრივ, ქორწინებისთვის დადგენილია გარკვეული მოთხოვნები, საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა შორის თანხმობა. კანონის მიხედვით, გარკვეული წინასწარი თანხმობა არ წარმოშობს ქორწინების ვალდებულებას და ეს არ შეიძლება გახდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის საფუძველზე, უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი

⁴⁰„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 54¹ მუხლი, სრულად.

⁴¹საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 2013 წლის რედაქცია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/gejPH25v>

⁴²თანასწორობის მოძრაობა, სამოქალაქო პარტნიორობის კვლევა, გვ.25, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Bejz2IdR>

⁴³საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 2018 წლის რედაქცია.

⁴⁴საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.

წესით რეგისტრირებული ქორწინების პირობებში უშვებს, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპთან, ასევე ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან.⁴⁵

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინებასთან დაკავშირებული უფლება მოვალეობები, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში წარმოიშობა. 2017 წელს, კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, ლგბტ(ქ)ი პირებს რეგისტრირებული ქორწინება ისედაც ეკრძალებოდათ, თუმცა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, არ არსებობდა ექსპლიციტური ჩანაწერი, რომელიც სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციასა და აღიარებას აკრძალავდა, თუმცა მეორე მხრივ, ამ საკითხზე, კანონში წარმოქმნილი ბუნდოვანება, ისედაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ლგბტ(ქ)ი პირებისათვის ამ უფლებით სარგებლობას, ვინაიდან, საკანონმდებლო დონეზე არ არსებობდა სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის წესი და ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.

ამრიგად, ჰომო/ბი/ტრანსფობიური კანონმდებლობის ამოქმედებამდეც, ლგბტ(ქ)ი პირებს, ერთი მხრივ, იმპერატიულად ისედაც ეკრძალებოდათ, საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა, ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული პრაქტიკა არც მათი სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობას ქმნიდა. ამრიგად, როგორც ძველი, ისე ახალი კანონმდებლობა მათ, პრაქტიკულად ყოველთვის, ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო საბაზისო უფლებრივი გარანტიების მიღმა ტოვებდა.⁴⁶

საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებრივი სტანდარტები ლგბტ(ქ)ი პირების ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრირების უფლების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ლგბტ(ქ)ი პირების ქორწინებას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 მუხლით დაცული უფლებით არ განამტკიცებს და ამდენად, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ქორწინება სამართლებრივად აღიარონ, ვინაიდან, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი, კონვენციის წევრი თითოეული ქვეყნის მიხედულობისამებრ უნდა მოწესრიგდეს.⁴⁷

თუმცა, ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ თანაცხოვრებაში მყოფი ლგბტ(ქ)ი წყვილების სტაბილური და განგრძობადი პარტნიორობა, ცალსახად ექცევა „ოჯახური

⁴⁵ თანასწორობის მოძრაობა, სამოქალაქო პარტნიორობის კვლევა, გვ.35

⁴⁶ იქვე. გვ.42

⁴⁷ Case of Schalk and Kopf v. Austria, para:98, 108.

ცხოვრების“ ცნებაში, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით დაცული სფეროა.⁴⁸

იქიდან გამომდინარე, რომ ევროპული სასამართლო ლგბტ(ქ)ი ადამიანების სტაბილურ პარტნიორობას, ოჯახური ცხოვრების პრიზმიდან აფასებს და მე-8 მუხლის ფარგლებში აქცევს, სასამართლო აუცილებლად თვლის, რომ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნები, ლგბტ(ქ)ი პირებს, რაიმე სახის ალტერნატიულ სამართლებრივ აღიარებას სთავაზობდნენ. მაგალითისათვის სასამართლო, მხარს უჭერს, სამოქალაქო ერთობისა და/ან რეგისტრირებული პარტნიორობის სამართლებრივ აღიარებას.⁴⁹

სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, ლგბტ(ქ)ი წყვილების პარტნიორობის სამართლებრივი მოწესრიგებიდან სრული ექსკლუზია და მათი ოჯახური ცხოვრების უფლებრივ აღიარებაზე უარი, ლგბტ(ქ)ი ადამიანების დისკრიმინაციაა და ამდენად, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებასთან ერთად, დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნასაც არღვევს.⁵⁰

სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელია, კონვენციის წევრი თითოეული ქვეყანა რაიმე ალტერნატიული ფორმით აღიარებდეს ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა კავშირს, რათა შესაძლებელი იქნას არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლგბტ(ქ)ი წყვილების სამართლებრივი დაცვისა და აღიარების უზრუნველყოფა.⁵¹

ოჯახური ცხოვრების უფლებისა და სამოქალაქო პარტნიორობის აღიარების კორელაციაზე მიუთითებს ჯოკიაკარტას 24-ე პრინციპიც, რომლის მიხედვითაც: „თითოეულ ადამიანს, განურჩევლად მისი სექსუალური და გენდერული იდენტობისა, უფლება აქვს შექმნას ოჯახი. აღიარებულია, რომ ოჯახურ ცხოვრებას მრავალფეროვანი ფორმები აქვს. დაუშვებელია პირის, ოჯახური ცხოვრება რაიმე ასპექტით დისკრიმინაციულად, მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, იზღუდებოდეს. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს, ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას, იმისათვის, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ქორწინება ანდა რეგისტრირებული პარტნიორობა, სამართლებრივად აღიაროს. ამასთან, სახელმწიფოს ვალდებულებაა, ოჯახური ცხოვრების კონტექსტში, ლგბტ(ქ)ი და ჰეტეროსექსუალი წყვილებისათვის სოციალური ბენეფიტები თანაბრად ხელმისაწვდომი გახადოს.“⁵²

ნიშანდობლივია, რომ ევროპული სასამართლოს მსგავსად, ვენეციის კომისიამაც განმარტა, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ქორწინების აკრძალვა, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს, თუმცა, ამ კონტექსტში კომისიის შეფასებაა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, ყველაზე

⁴⁸იქვე. para:94

⁴⁹Case of Oliari and Others.v Italy, para:185

⁵⁰Case of Valliatos and Others v. Greece, Para: 85, 92.

⁵¹იქვე.para: 73, 76.

⁵²The Yogyakarta Principles, 24-ე პრინციპი.

მოწყვლად და მარგინალიზებულ ლგბტ(ქ)ი თემს, სამოქალაქო კავშირის აღიარების უფლებრივი ექსკლუზიის გზით, ურთიერთობის ყველანაირი ფორმის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობას უზღუდავს, რაც, კომისიის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, დისკრიმინაციის აკრძალვის დათქმის დარღვევასაც გამოიწვევს.⁵³

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლება

ინიცირებული საკანონმდებლო აკრძალვები, ლგბტ(ქ)ი პირების მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის შესახებ

პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები ლგბტ(ქ)ი პირების მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის ამკრძალავ დათქმებსაც შეიცავს.

ძირითადი კანონის ამოქმედებამდე, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტით უკვე იგეგმებოდა, ლგბტ(ქ)ი თემის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისაგან სრული ექსკლუზია. კონსტიტუციური კანონის პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანის შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეები და ჰეტეროსექსუალი პირები შეძლებდნენ⁵⁴

იმავე შედეგის მქონე აკრძალვები იქნა გათვალისწინებული, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონშიც, რომლის მე-5 მუხლის ამოქმედების შემდგომაც, აკრძალა იმ ადამიანის მიერ შვილად აყვანა და მისთვის მინდობით აღსაზრდელად არასრულწლოვანის გადაცემა, რომელიც თავს, ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ან მისი სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება.⁵⁵

⁵³CDL-AD(2024)021-e Georgia - Opinion on the draft constitutional law on Protecting Family Values and Minors, adopted by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024), პარა №31.

⁵⁴ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის მე-2 მუხლი.

⁵⁵ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი.

ძირითადი კანონით გათვალისწინებული დათქმების აღსასრულებლად, იდენტური უფლებამზღვრავი ჩანაწერები გაკეთდა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.⁵⁶

შემუშავებული ცვლილებების ფონზე, განუჭვრეტადია თუ როგორ შეძლებს სახელმწიფო შვილად აყვანისა და არასრულწლოვანის მინდობით აღზრდით გადაცემის პროცესში ინდივიდების სექსუალური ორიენტაციის შემოწმებასა და განსაზღვრას. თუმცა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, განმარტავს, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესში ჩართულ სოციალურ მუშაკს, შვილად აყვანის მსურველი პირისა და გასაშვილებელი არასრულწლოვანის თავსებადობის დადგენის დროს, დაევალება პირის „მავნე მიდრეკილებების“, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის გამორკვევა.⁵⁷

ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებების დაცვის საკითხი შვილად აყვანისას- საქართველოში არსებული კანონმდებლობა

რეპრესიული კანონის ამოქმედებამდე არსებული რედაქციის მიხედვით, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონით, შვილად აყვანის მთავარ კუმულატიურ წინაპირობად, მშვილებლის სრულწლოვანება და ქმედუნარიანობა იყო განსაზღვრული. კანონი შეზღუდვას აწესებდა მხოლოდ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალზე, რომელთა გამოვლენის შემთხვევაშიც, პირი ვერ გახდებოდა მშვილებელი. ასეთ გარემოებებს შორის იყო მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ნასამართლობა.⁵⁸ ახლა კი, ერთ-ერთ დამატებით გამომრიცხავ გარემოებად, მშვილებელი პირის სექსუალობა განისაზღვრა.

ნიშანდობლივია, კანონის 23-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის დასადგენად, სოციალური მუშაკი შეფასებას ჩაატარებს, რომლის ფარგლებშიც, მშვილებლის სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად, მისი ოჯახური ურთიერთობები, ძლიერი და სუსტი მხარეები და პიროვნული მახასიათებლებიც დეტალურად შეფასდება და მშვილებლისა და ბავშვის თავსებადობის შესახებ დასკვნაში აისახება. თავის მხრივ, კანონში არსებული დათქმა, პირის ძლიერ და სუსტ მხარეებსა და პიროვნულ მახასიათებლებზე, შეფასებითი ჩანაწერია და უცნობია, ადმინისტრაციული პრაქტიკით ინდივიდუალურ შემთხვევებში, როგორ განიმარტება.⁵⁹

⁵⁶საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები, ხელმისაწვდომია:<https://cutt.ly/Oe3tslpj>

⁵⁷პარლამენტის პლენარული სხდომა - 26.06.2024, 3:38:00 წუთიდან, ხელმისაწვდომია:<https://cutt.ly/3ehqn8rq>

⁵⁸შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონი

⁵⁹იქვე. 23-ე მუხლის მე- ნაწილი.

კანონის გარდა, შვილად აყვანის პროცედურას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაც აწესრიგებს, რომელიც ჩამოთვლის და აკონკრეტებს შვილად აყვანაზე უარის თქმის საფუძვლებს, მათ შორისაა, ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი, ნერვული სისტემის, ფსიქიკური და შინაგანი ორგანოების დაავადებები.⁶⁰

შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელ საკანონმდებლო სისტემაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა და რეალობაში ეფექტიან ინსტრუმენტებად ვერ ტრანსფორმირდება. ვინაიდან, იგი ფაქტობრივად დაცლილია დისკრიმინაციის ამკრძალავი მექანიზმებისაგან, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ მიუხედავად კანონის არადისკრიმინაციული ხასიათისა, ადმინისტრაციულ ორგანოებს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შესაძლოა ჰომო/ბი/ტრანსფობიური კანონის ამოქმედებამდეც დისკრიმინაციული პრაქტიკა ჰქონოდათ.⁶¹

ლგბტ(ქ)ი პირების მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლებრივი სტანდარტები

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ შვილად აყვანის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებიცა და ადმინისტრაციული პრაქტიკაც, უმთავრესად ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დააფუძნონ.⁶²

თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არასრულწლოვანთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისა და მოწესრიგებისას, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის“ ცენტრალური პრინციპი, ბაზისური კონცეფციაა, რომლის გათვალისწინებაც, თითოეული სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულებაა.⁶³

ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვანის ოჯახში ინტეგრირებამდე, დეტალურად უნდა იქნას აღმზრდელობის მსურველი ინდივიდის პიროვნება შესწავლილი, რათა სახელმწიფოებმა ზედმიწევნით შეძლონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.⁶⁴ შვილად აყვანის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებამდე, პირის საცხოვრებელი პირობებისა და მატერიალური მზაობის შესწავლასთან ერთად, აუცილებელია სახელმწიფომ სიღრმისეულად გაანალიზოს შვილად

⁶⁰საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ, მე-6 მუხლის მე-9 ნაწილი.

⁶¹სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ.41, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6ejOkoFw>

⁶²ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 21-ე მუხლი.

⁶³Committee on the Rights of the Children General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, page 10.

⁶⁴Case of E.B v. France, para:70-74

აყვანის მსურველი პირის უნარი სრულფასოვნად აღზარდოს არასრულწლოვანი. ამასთან, აუცილებელია, ყურადღება ექცეოდეს ბავშვისათვის, უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნის გარანტიებსაც.⁶⁵

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შვილად აყვანის პროცესი, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის გათვალისწინებით უნდა წარმართოს. ამასთან, კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ არასრულწლოვანის შვილად აყვანის მიზანშეწონილობის შესწავლისას შესაფასებელი თითოეული კრიტერიუმი, ყველა მსურველის მიმართ თანასწორად და სამართლიანად გამოიყენონ, რათა პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, დისკრიმინაციულად, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე არ შეიზღუდოს.⁶⁶

სასამართლოს შეფასებით, დისკრიმინაციულია ადმინისტრაციულ ორგანოთა მიდგომა, რომლის საფუძველზეც, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ არაჰეტეროსექსუალ წყვილებსა და მარტოხელა, გეი, ლესბოსელ და ბისექსუალ ინდივიდებს, შვილად აყვანისა და არასრულწლოვანის მინდობით აღზრდაში გადაცემა ეკრძალებათ. დაუშვებელია აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ პირის სექსუალურ ორიენტაციას ეფუძნებოდეს. შვილად აყვანის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების ძირითადი დასაბუთება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ძირითადი აქცენტიცა და შეფასებაც, მიმართული უნდა იყოს, ინდივიდის უნარზე, თუ რამდენად შეუძლია მას მხარი დაუჭიროს არასრულწლოვანს, აღზარდოს და სტაბილური გარემო შეუქმნას მას. სასამართლო გაუმართლებლად აფასებს, სახელმწიფოთა მიდგომას, როდესაც თითოეულ ამ კომპონენტზე მსჯელობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების მაგიერ, არაჰეტეროსექსუალ პირებს, მათდამი წინასწარი ნეგატიური მიკერძოებით, მათი სექსუალობის ნიშნით, უარს ეუბნებიან არასრულწლოვანის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რაც სასამართლოს შეფასებით კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნასაც არღვევს.⁶⁷

ამასთან, სასამართლო აღიარებს, რომ ტრადიციული ოჯახის გაგებასა და სექსუალური უმცირესობების კონვენციურ უფლებებს შორის ბალანსის დაცვა, დელიკატურ მიდგომებს მოითხოვს. კონვენციის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეპირისპირებული ინტერესებისა და კონფლიქტური ხედვების ურთიერთდაახლოების გზით, მაქსიმალურად უზრუნველყონ განსხვავებული მოპყრობისა და დისკრიმინაციის პრევენცია. არაორაზროვანია ევროპული სასამართლოს ხედვა ლგბტ(ქ) ადამიანებისათვის შვილად აყვანის აკრძალვის შესახებ. სასამართლო მიიჩნევს, რომ თუ კი დაოჯახებული სხვადასხვა სქესის წყვილისა და ჰეტეროსექსუალი ინდივიდების შემთხვევაში, მათი სექსუალური ორიენტაცია შვილად აყვანის წინაპირობას არ წარმოადგენს, აღნიშნული უფლების ლგბტ(ქ)

⁶⁵იქვე.

⁶⁶იქვე.

⁶⁷იქვე.

პირებისათვის შეზღუდვა ვერ იქნება ტრადიციული ოჯახისა და ბავშვის დაცვის ლეგიტიმური მიზნით გამართლებული.

საქმეზე, “X and Others v. Austria” მსჯელობისას, სასამართლომ ევროპის კავშირის კანონმდებლობაც მიმოიხილა და კონვენციის წევრ სახელმწიფოებს, შვილად აყვანის შესახებ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული დათქმების აღსრულებისაკენ მოუწოდა. აღსანიშნავია, რომ შვილად აყვანის შესახებ კონვენცია ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას აქვს რატიფიცირებული, რომლის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტიც, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს თავისუფლებას ანიჭებს, შვილად აყვანა დასაშვები გახადოს, როგორც დაქორწინებული ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისათვის, ისე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი იმ ლგბტ(ქ)ი წყვილებისათვის, რომლებიც სტაბილურ თანაცხოვრებაში იმყოფებიან.⁶⁸ კონვენციის მიზნებზე მითითებით, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ აუცილებელია, როგორც დაოჯახებულ, ისე დასაოჯახებელ არაჰეტეროსექსუალ პირებს დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნის გათვალისწინებით ეძლეოდეთ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესში მონაწილეობის მიღება.⁶⁹

იმავეზე მიუთითებს, ჯოკიაკარტას 24-ე პრინციპიც, რომლის მიხედვითაც: „სახელმწიფოს თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც ბავშვის ცხოვრების ყოველდღიურობას განსაზღვრავს, ბავშვის საუკეთესო ინტერესებით უნდა იქნას ნაკარნახები. ადმინისტრაციული პრაქტიკით, პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, არ უნდა იქნას შეფასებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების გამომრიცხავ ფაქტორად. დაუშვებელია, არასრულწლოვანის შვილად აყვანის მსურველი ლგბტ(ქ)ი პირები, შვილად აყვანის პროცესში დისკრიმინაციული მიდგომების მსხვერპლი ხდებოდნენ.“⁷⁰

საგულისხმოა ვენეციის კომისიის შეფასება, რომ დისკრიმინაციულია, მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული ექსპლიციტური საკანონმდებლო ჩანაწერი, რომლითაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ არაჰეტეროსექსუალ წყვილებსა და მარტოხელა, გეი, ლესბოსელ და ბისექსუალ ინდივიდებს, შვილად აყვანისა და არასრულწლოვანის მინდობით აღზრდაში გადაცემას უკრძალავს. ვინაიდან, თუ კი, კანონმდებლობა, მარტოხელა ჰეტეროსექსუალ პირს საშუალებას აძლევს არასრულწლოვანი შვილად აიყვანოს და აღზარდოს, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ამ შესაძლებლობის ჩამორთმევას, კომისია დისკრიმინაციად მიიჩნევს.⁷¹

ცალსახაა, რომ ხელისუფლების მიერ დამტკიცებული, საკანონმდებლო ცვლილებები, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის კონტექსტშიც, სრულად უგულებელყოფს უფლებრივ სტანდარტებსა და საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ მიდგომებს.

⁶⁸European Convention on the Adoption of Children, Article 7.2, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zehSXXiu>

⁶⁹X and Others v. Austria, para:149

⁷⁰The Yogyakarta Principles, 24-ე პრინციპი.

⁷¹CDL-AD(2024)021-e Georgia - Opinion on the draft constitutional law on Protecting Family Values and Minors, adopted by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024), პარა 37-39.

ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში

სამაუწყებლო სივრცის ცენზურა

გამოხატვის თავისუფლების მზლუდავ საკანონმდებლო დათქმებს შეიცავს, როგორც ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტი, ისე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონიც.

კონსტიტუციური კანონის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, აკრძალვოდა იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ იქნებოდა მიმართული.⁷²

საბოლოოდ მძიმე საკანონმდებლო ჩანაწერები იქნა გათვალისწინებული, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონშიც, რომელთა ნორმატიული შინაარსიც ფაქტობრივად ცენზურის სახეს იღებს.

ძალაში შესული კანონი, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ აკრძალვებს მე-9 მუხლში განსაზღვრავს, რომლის 1-ელი ნაწილიც, მაუწყებლობასთან დაკავშირებულ აკრძალვებს შეეხება. მაუწყებელს ევალება არ დაუშვას, ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც სქესის შეცვლის, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ურთიერთობის ან ინცესტის „პოპულარიზაციისაკენ“ არის მიმართული. ამასთან, კანონის მიხედვით: „მაუწყებლის ეთერში შემოქმედებითი ნაწარმოების განთავსების აკრძალვა, გულისხმობს მხოლოდ ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ინტიმური ურთიერთობის ან ინცესტის ამსახველი სცენის მაუწყებლის ეთერით გავრცელების დაუშვებლობას.“⁷³

ამასთან, მაუწყებელს ეკრძალება ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც მიმართულია სქესის შეცვლის, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ურთიერთობის ან ინცესტის „პოპულარიზაციისკენ“.⁷⁴

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გზით, იდენტური ხასიათის აკრძალვები იქნა გათვალისწინებული, რეკლამისა და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონებში.

⁷²საქართველოს კონსტიტუციური კანონი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 1-ელი მუხლის მე-7 პუნქტი.

⁷³ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის, მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილი

⁷⁴იქვე. მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი

ცვლილება შევიდა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც და დღესდღეობით, სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირების დაწესება, შესაძლებელი გახდა მაშინაც, თუ კი გამოხატვა ეწინააღმდეგება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელიმე მოთხოვნას.⁷⁵

ჰომო/ბი/ტრანსფობიურ კანონში ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული აკრძალვები, განსაკუთრებულად მძიმეა, რადგან იგი სიტყვისმიერად შემდგარია იმგვარი განუჭვრეტადი და სუბიექტური განსაზღვრების მქონე ტერმინებისაგან, როგორცაა „პოპულარიზაცია“ და „ინფორმაციის გავრცელება“.

ერთი შეხედვით, კანონმდებელი შეეცადა გამოესწორებინა ის ბუნდოვანება, რომელსაც აღნიშნული ნორმა წარმოქმნის და კანონის საბოლოო რედაქციას, ტერმინის „პოპულარიზაცია“ განმარტება დაამატა. კანონის მიხედვით, ქმედება პოპულარიზაციისაკენ მიმართულად მიიჩნევა, თუ კი, ობიექტური დამკვირვებლის აზრით, ინფორმაცია/ქმედება სქესის შეცვლის, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ურთიერთობასა და ინცესტს დადებითად ანდა მისაზამად წარმოაჩენს.⁷⁶

თუმცა, „პოპულარიზაციის“ კანონისმიერი დეფინიცია, კიდევ უფრო ცხადს ხდის კანონის რეპრესიულ მიზნებს-სამაუწყებლო ბადეში იმგვარი რეკლამის განთავსება, რომელიც შესაძლოა ნეიტრალურად, ანდა მინიმალური პოზიტიური რეპრეზენტაციის სახით, შეეხებოდეს ლგბტ(ქ)ი საკითხებს, მაუწყებელს ადმინისტრაციულსამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას დააკისრებს.⁷⁷

არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა

საყურადღებოა, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის ჩანაწერი, რომელიც არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, გაზიარებასა და ხელმისაწვდომობის შექმნას კრძალავს, რომელიც სქესის შეცვლის, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ურთიერთობის პოპულარიზაციისაკენაა მიმართული.⁷⁸

კანონის მიხედვით: „არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

⁷⁵საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მე-9 მუხლის ბ' ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1e3yOq7Z>

⁷⁶იქვე. მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილი.

⁷⁷საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 172¹⁰-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/be3yAKOU>

⁷⁸ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

უზრუნველყოფა გულისხმობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სუბიექტმა არასრულწლოვანი დაუშვა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ინფორმაცია სიტყვიერად, ხმოვანი მოწყობილობით ან/და ვიზუალურად ვრცელდება, თუ აღნიშნულ სუბიექტს ამ არასრულწლოვანის ასეთ ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდვის უფლება და გონივრული შესაძლებლობა ჰქონდა“⁷⁹

ამ დანაწესის დარღვევისათვის პირველ ჯერზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგენილი, სასჯელის სახით კი, ფიზიკური პირის 1 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირი – 3 000 ლარით დაჯარიმება.⁸⁰ ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ ქმედებების ხელახლა ჩადენა, სისხლის სამართლის წესით დაისჯება და სასჯელის ფორმად ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე დაემუქრება.⁸¹

არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის შესახებ კანონში გაკეთებული ჩანაწერი განსაკუთრებულად შემამფოთებელია, რადგან, ხელისუფლება ნორმის ბუნდოვანებისა და განუჭვრეტადობის ინსტრუმენტალიზებასა და მის სადამსჯელო მექანიზმად გამოყენებას შეძლებს. კანონის აღმასრულებელს შეეძლება, ნებისმიერი ის საჯარო გამოხატვა, რომელიც ლგბტ(ქ)ი საკითხების მხარდაჭერასა და ადვოკატირებას შეეხება, არასრულწლოვანთან პირდაპირ კომუნიკაციად ანდა მისთვის ამ საკითხების ხელმისაწვდომობის შექმნად ჩათვალოს, რადგან საჯარო სივრცის ბუნებიდან გამომდინარე, არა დახურულ ფიზიკურ სივრცეებსა და ონლაინ პლატფორმებზე, შეუძლებელია არასრულწლოვანთა დაუსწრებლობის სრულყოფილად უზრუნველყოფა. ამგვარი რეპრესიული ნორმის მოქმედებასა და შემდგომ ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ იმპლიკაციებს, სოლიდარობის გამოხატვისას, შესაძლოა თვითცენზურის „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს უფლებადამცველ ორგანიზაციებზე, აქტივისტებსა და საკუთრივ ლგბტ(ქ)ი თემზე.

ჩარევა აკადემიურ თავისუფლებაში- მასწავლებლებისა და ლექტორების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

ხელისუფლების მიერ შემუშავებული ნორმები, უხეშად ერევა აკადემიურ თავისუფლებაშიც.

საკონსტიტუციო ცვლილებებით, „ქართული ოცნება“ შეეცადა, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში, აეკრძალა, იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების „პოპულარიზაციისკენ“ არის მიმართული.⁸²

⁷⁹იქვე.

⁸⁰საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 172¹⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილი,

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილი

⁸²იქვე. 1-ელი მუხლის მე-8 პუნქტი.

თუმცა კი, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებების საბოლოო დამტკიცება ვერ მოხერხდა, იდენტური შინაარსისა და შედეგების მქონე ჩანაწერი იქნა შეტანილი, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის მე-8 მუხლშიც.⁸³

საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური თავისუფლების მზლუდავი დათქმების შემდგომი იმპლემენტირებისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები იქნა შესული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში.

საყურადღებოა, რომ განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ მიმართული შინაარსის საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელება, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.⁸⁴

იმავე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის, პირს, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსხვავებული სქესისთვის თავის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის „პოპულარიზაციისკენ“ მიმართულ ინფორმაციას გაავრცელებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, რაც, თავის მხრივ, სასჯელის ფორმად, ჯარიმას, თანამდებობის დაკავებას ან საქმიანობის უფლების სამი წლით ჩამორთმევას, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.⁸⁵

აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის ამგვარი ფორმები, პირდაპირ გამორიცხავს აკადემიური პერსონალისა და მოსწავლეების მიერ სასწავლო საკითხების თავისუფლად შერჩევისა და ცალკეულ საკითხებზე საჯარო დებატების წარმართვის შესაძლებლობას, რითაც აკადემიური სივრცეები ეროზიისა და დანიშნულებისაგან დაცლის საფრთხის ქვეშ დგება.

ცენზურის დაუშვებლობა-ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტები

საკონსტიტუციო ინიციატივებიცა და მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიც, არსებითად ეწინააღმდეგება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირეულ სტანდარტებს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს.⁸⁶ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება შინაარსობრივად გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს მოიაზრებს, მათ შორის:

⁸³ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის მე-7 მუხლი.

⁸⁴საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172¹⁰-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸⁵სისხლის სამართლის კოდექსი, 176¹ - ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

⁸⁶სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილი.

- აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- ცენზურის დაუშვებლობას;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;⁸⁷

კანონმდებლობა ადგენს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინასწარ განსაზღვრულ საფუძვლებსაც.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.⁸⁸ ხოლო, უფლების მზღლდავი საკანონმდებლო რეგულირება პირდაპირ უნდა მიემართებოდეს ლეგიტიმური მიზნის განხორციელებას, იგი უნდა იყოს კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. ამასთან, გამოხატვის თავისუფლების მზღლდავი მოწესრიგება არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და იგი უნდა იყოს პროპორციულად შემზღლდავი.⁸⁹

ნიშანდობლივია, საკანონმდებლო დათქმა გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების შესახებ, რომ: „შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური, არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით.“⁹⁰

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის, პირდაპირი დისკრიმინაციაც, რაც ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნაა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.⁹¹

მნიშვნელოვანია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მასწავლებლების გამოხატვის უფლებრივი გარანტიებიც, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელს უფლება აქვს, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გავრცელოს, ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები.⁹² ამასთან, მასწავლებლებს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება, იმ

⁸⁷ იქვე. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁸ იქვე. მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილი.

⁸⁹ იქვე. მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁹⁰ იქვე. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁹¹ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები.

⁹² ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ელი ნაწილი.

ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.⁹³

გამოხატვის თავისუფლების უფლებრივი სტანდარტები⁹⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ განუყოფელი ფუნდამენტი.

ამასთან, დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ გამოხატვის თავისუფლება არა მხოლოდ არამალადობრივ და ნეიტრალურ, არამედ ისეთ იდეებსა და გამოხატვასაც მიემართება, რომელიც შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ანდა შემაწუხებელი შესაძლოა იყოს სახელმწიფოსათვის, ანდა მოსახლეობის რომელიმე სეგმენტისათვის. პლურალისტური საზოგადოების იდეა, სწორედ ტოლერანტობასა და მიმდებლობას ეფუძნება.⁹⁵

არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მოტივით ლგბტ(ქ) პირების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობაზე მსჯელობისას, რელევანტურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Bayev and Others v. Russia” რომელშიც ადამიანის ევროპულმა სასამართლომ, „ქართული ოცნების მიერ“ ინიცირებული კანონპროექტის მსგავსი, რუსეთში მოქმედი კანონმდებლობა მკაცრად გააკრიტიკა.

სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებული იყოს მორალური საფუძვლებით, მით უფრო, როდესაც შეზღუდვის მთავარ ლეგიტიმურ მიზნად ლგბტ(ქ) პროპაგანდის აკრძალვა დასახელებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინ, როდესაც პირის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება, არასაკმარისია დასაბუთება, რომ ლგბტ(ქ) პირების მიმართ ფართო საზოგადოებაში კრიტიკა არსებობს და, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ურთიერთობა შესაძლოა შეუთავსებელი იყოს ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებთან.⁹⁶

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მტკიცედ უგულებელყოფს, სახელმწიფოთა იმგვარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც ცალსახად მიკერძოებულია ჰეტეროსექსუალი უმრავლესობის მიმართ. ფაქტი, რომ კონკრეტულ ქვეყანაში უმცირესობათა თემის ირგვლივ ნეგატიური განწყობები არსებობს, ტრადიციებისა და ჰომოსექსუალობის შეუთავსებლობის მტკიცებასთან ერთად, სასამართლომ, განსხვავებული მოპყრობისათვის საკმარის გამართლებად არ მიიჩნია.⁹⁷

საყურადღებოა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების

⁹³იქვე. მე-14 მუხლის მე-5 ნაწილი.

⁹⁴სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტი გამოხატვის თავისუფლებას ეწინააღმდეგება და ცენზურას აწესებს, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Feky87yG>

⁹⁵Handyside v. the United Kingdom, პარა # 49.

⁹⁶Case of Bayev and Others v. Russia

⁹⁷იქვე.

შესახებ, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია, საბჭოს წევრი ქვეყნებმა არ დაუშვან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი პირების გამოხატვის თავისუფლებით ეფექტიანი სარგებლობის შეზღუდვა. მათ შორის, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მორალისა და წესრიგის დაცვის საბაზით, არ დაამკვიდრონ, არამართლზომიერი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პრაქტიკები, რითაც ლგბტ(ქ) პირების გამოხატვის თავისუფლებას შეზღუდავენ.⁹⁸

აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში, ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ დაუშვებელია არასრულწლოვანებს სექსუალობისა და გენდერული იდენტობის საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა და უფლება ეზღუდებოდეთ. სახელმწიფოსა და განათლების სისტემის ვალდებულებაა, რომ სექსუალური განათლების ხელმისაწვდომობით, მოსწავლეები და სტუდენტები ადეკვატურად მოამზადონ არსებული სოციალური რეალობისათვის. ვენეციის კომისიის შეფასებით, აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის გზით, ხელისუფლება სრულად ართმევს არასრულწლოვანებს შესაძლებლობას, რომ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და სხვა დაკავშირებულ საკითხებზე, ობიექტური, კრიტიკული და ასაკისათვის შესაბამისი ინფორმაცია მიიღონ, რაც კომისიის შეფასებით წინააღმდეგობრივია აკადემიურ თავისუფლების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებთან.⁹⁹

საერთაშორისო სამართლის მიდგომები აკადემიური თავისუფლების შესახებ

აკადემიური თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია და ამდენად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, იგი კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებული უფლებაა.¹⁰⁰

თავის მხრივ, აკადემიური თავისუფლების ელემენტებია:

გამოხატვისა და საქმიანობის თავისუფლება- მასწავლებლებსა და ლექტორებს, თავისუფლად, ცენზურის გარეშე, უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრის გამოხატვა სწავლებისა და საჯარო დებატებში მონაწილეობის გზით.

ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება- მასწავლებლებსა და ლექტორებს, უფლება აქვთ გაუზიარონ თავიანთი ცოდნა, მოსაზრებები და შეხედულებები და ცოდნა ფართო საზოგადოებას, მათ შორის წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები კვლევის გამოქვეყნების, კონფერენციაზე წარდგენისა და სამაუწყებლო პროგრამებში მონაწილეობის საშუალებით.

ცოდნისა და ჭეშმარიტების გავრცელების თავისუფლება- მასწავლებლებსა და ლექტორებს, კვლევითი საქმიანობის დროს აღმოჩენილი სიახლეები და მიგნებები, სასწავლო

⁹⁸Council of Europe's Recommendation CM/Rec(2010)5, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/uej7xDY7>

⁹⁹CDL-AD(2024)021-e Georgia - Opinion on the draft constitutional law on Protecting Family Values and Minors, adopted by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024), პარა№89-98

¹⁰⁰Case of *Sorguc v. Turkey*, para:35-36

საქმიანობისას სტუდენტებსა და მოსწავლეებს თავისუფლად გაუზიარონ. აღნიშნული გადაწყვეტია მეცნიერების წინსვლისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.¹⁰¹

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო რეკომენდაციის თანახმად, იმისათვის, რომ სასწავლო დაწესებულებებმა, თანამედროვე საზოგადოებების მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება შეძლონ, აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო სექტორს, პოლიტიკური და რელიგიური უმრავლესობისაგან, სრული ინსტიტუციური და ინტელექტუალური ავტონომია გააჩნდეს.¹⁰²

აკადემიური თავისუფლების კონტექსტში, რელევანტურია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებაც, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლო კურიკულუმებსა და მასალებში, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები ასახონ და აკადემიური პერსონალი თანასწორობის საკითხებზე გადაამზადონ, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეებისა და სტუდენტების ინფორმირებულობა.¹⁰³

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

ინიცირებული საკანონმდებლო შეზღუდვები შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ

თავდაპირველად კონსტიტუციური კანონის პროექტით იგეგმებოდა იმგვარი შეკრების აკრძალვა, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილის ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, არაპეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.¹⁰⁴

ლგბტ(ქ) პირების შეკრებისა და მანიფესტაციის ამკრძალავ იმავე დათქმებს, შეიცავს საკანონმდებლო ცვლილებათა ახალი, უკვე ძალაში შესული პაკეტიც.

¹⁰¹Case of Lombardi Vallauri v. Italy Para:39-43

¹⁰²Recommendation 1762 (2006) Academic freedom and University Autonomy, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/5ej7iOvu>

¹⁰³Council of Europe's Recommendation CM/Rec(2010)5.

¹⁰⁴საქართველოს კონსტიტუციური კანონი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 1-ელი მუხლის მე-6 პუნქტი.

ძირითადი კანონპროექტი კრძალავს, საჯაროდ ისეთი შეკრების ან/და მანიფესტაციის ჩატარებას, რომელიც სქესის შეცვლის, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ურთიერთობისა და ინცესტის „პოპულარიზაციისაკენა“ მიმართული.¹⁰⁵

ამასთან, ცვლილება შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონშიც.

ახალი მოწესრიგების მიხედვით: „მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ასევე უფლებამოსილია არ დაუშვას საჯაროდ შეკრება ან/და მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეს შეკრება ან/და მანიფესტაცია მიმართული იქნება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ამ პუნქტის მიზნებისთვის ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“¹⁰⁶

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, იმგვარი შეკრებაცა და მანიფესტაცია, რომელიც არასრულწლოვანისთვის მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ისეთი ინფორმაციის მიწოდების ან/და ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც მიმართულია ადამიანის სქესის შეცვლის, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო იურიდიული პირისა – 3 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.¹⁰⁷

ხოლო, აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ ქმედების განმეორებით ჩადენა, მასზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას გამოიწვევს.

¹⁰⁵ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი.

¹⁰⁶საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-14 მუხლის 1-ელი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Pe3io032>

¹⁰⁷საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მე-2 მუხლი.

საქართველოში ლგბტ(ქ)ი პირების ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეზე - პრობლემის აღწერა

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით,¹⁰⁸ ასევე კანონით, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“, რომელიც ამ უფლებით სარგებლობის კონკრეტულ წესებს აწესრიგებს.

დეკლარაციულად, ყველას აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაოდ, როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეებში. ამასთანავე, კანონი უფლების განხორციელებისას დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპსაც ითვალისწინებს. გარდა ამისა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.¹⁰⁹

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირებისა, ლგბტ(ქ)ი ადამიანებისათვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, უსაფრთხოების მზარდ რისკებს უკავშირდება. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში, ლგბტ(ქ)ი ადამიანებს შეკრების თავისუფლებით, უსაფრთხო და ღირსეული სარგებლობის შესაძლებლობა არ ეძლევათ.¹¹⁰ ამკარაა, რომ სახელმწიფო დემონსტრაციულ გულგრილობას იჩენს ლგბტ(ქ)ი ადამიანების შეკრების უფლების რეალური დაცვის მიმართულებით და განზრახ, არ იღებს ადეკვატურ პრევენციულ ზომებს ულტრაკონსერვატიული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეებისა და ძალადობის აღკვეთის მიზნით.

საერთაშორისო სტანდარტები ლგბტ(ქ)ი პირების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ხშირად მარგინალიზებული ჯგუფების მიერ მათ წინაშე არსებული პრობლემების გამოხატვის ერთადერთი ეფექტიანი გზაა. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში მშვიდობიანი შეკრების უფლება, თუნდაც, შეკრების წინააღმდეგობრივი შინაარსისა, დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს და ამ უფლებაში ჩარევის ფარგლებიც შეფასების შესაბამის ტესტებს ექვემდებარება. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან განიხილონ შეკრებისა და

¹⁰⁸ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი.

¹⁰⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ.35

¹¹⁰ „ღირსების მარშის“ კონტრაქციის მონაწილეების მასობრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/5ej78Qho>

მომალადე ჯგუფებმა „თბილისის პრაიდის“ ფესტივალი ჩამალეს, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Hej78SeF>
შსს მოუწოდებს „პრაიდის“ აქტივისტებს საჯარო სივრცეში მარშის გამართვისგან თავი შეიკავონ“, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/430601>

მანიფესტაციის თავისუფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება და არა პრივილეგია. შესაბამისად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ამ უფლების პრაქტიკაში განხორციელება ყველა ადამიანისთვის ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის გარეშე.¹¹¹

საერთაშორისო სტანდარტით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას, რომ, არა თუ გაუმართლებლად არ შეზღუდონ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, არამედ, გადადგან ქმედითი ნაბიჯები იმისათვის, რომ ინდივიდებმა, საკუთარი მოსაზრებები და წუხილები, საჯაროდ, შეუფერხებლად გამოხატონ. მათ შორის, საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, სახელმწიფოთა ვალდებულება, რომ უმცირესობების თითოეული შეკრება, სხვადასხვა სახის მესამე ძალის თავდასხმებისაგან, ყოველთვის უპირობოდ დაიცვან.¹¹²

პრეცედენტულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საკითხზე. სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, საზოგადოებრივი მორალის არგუმენტებს ეფუძნებოდეს, მეტიც, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს შეკრების თავისუფლების სრულ რეალიზაციას, მაშინაც კი თუ კი შეკრების მიზნები და გამოხატვა უმრავლესობის მიერ ნეგატიურადაა აღქმული.¹¹³

ევროპული სასამართლო მსჯელობს, სპეციფიკურად, ლგბტ(ქ)ი პირების შეკრების უფლებაზე და მიიჩნევს, რომ ღირსების მარშის აკრძალვაცა და მასში მონაწილეობაზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ერთი მხრივ, გაუმართლებლად უგულებელყოფს ლგბტ(ქ)ი პირების მშვიდობიანი, შეკრების უფლებას, მეორე მხრივ, კი მსუსხავი ეფექტით, ხელს უწყობს პოლიტიკური ჰომოფობიის გაღვივებას, რაც კონვენციის მე-11 მუხლთან ერთად, მე-14 მუხლის დარღვევაცაა.¹¹⁴

საქართველოს კონტექსტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა.¹¹⁵ სასამართლო აღნიშნავს, რომ

¹¹¹საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა, 2022, გვ.19, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6ej76VVx>

¹¹²JOINT DECLARATION ON THE RIGHT TO FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY AND DEMOCRATIC GOVERNANCE The United Nations Special Rapporteur on Freedom of Assembly and Association¹, the InterAmerican Commission for Human Rights² (IACHR) and its Special Rapporteur on Freedom of Expression³, Special Rapporteur on Human Rights Defenders and focal point for reprisals in Africa of the African Commission on Human and Peoples' Rights⁴ (ACHPR), and the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Qej5izsC>

¹¹³Case of *Bączkowski and Others v. Poland*.

¹¹⁴Case of *Alekseyev v. Russia*

¹¹⁵საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა, 2022, გვ.21

ზოგიერთი მშვიდობიანი დემონსტრაცია შესაძლოა გამაღიზიანებელი იყოს საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც შეკრებაზე წარმოთქმულ იდეებსა და განცხადებებს არ იზიარებს. თუმცა, კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც, თავის მხრივ, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას განამტკიცებს, წევრ სახელმწიფოებს დემონსტრანტების ხელშეწყობასა და ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან დაცვის ვალდებულებას გულისხმობს.¹¹⁶

ვენეციის კომისიის შეფასება შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლების მზლუდავი ნორმების შესახებ

ვენეციის კომისიამ გაერთიანებულად იმსჯელა კონსტიტუციური კანონის პროექტის იმ მუხლებზე, რომლებიც, თავის მხრივ, შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლებებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს აწესებს, რადგან, მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დათქმების ლეგიტიმურობა, იდენტური საფუძვლებითაა პრობლემური.

ვენეციის კომისიამ განმარტა, რომ ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებების მზლუდავ მოწესრიგებებში, იმგვარი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „პედოფილია“ და „ინცესტი“ შეურაცხყოფს სექსუალურ უმცირესობებს და მათი სტიგმატიზირებისა და დამცირების გზით, ცდილობს, ინცესტიცა და პედოფილიაც, ჰომოსექსუალობასთან გააიგივოს, რაც კომისიამ კატეგორიულად დაგმო.¹¹⁷

დასკვნაში ხაზგასმულია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის მზლუდავი ნორმით, გათვალისწინებული შინაარსი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან ერთად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებებსაც ზღუდავს.

გარდა ამისა, ხელისუფლების მიერ შემუშავებული შეკრების, კონკრეტული კონტენტისა და ინფორმაციის გავრცელების ამკრძალავი ნორმები, ზღუდავს კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ გამოხატვის თავისუფლებას. კომისია განმარტავს, რომ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაში ჩარევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართლზომიერი, თუ კი შეზღუდვა განჭვრეტადია, გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და იგი აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

შესაფასებელი კანონპროექტის ლეგიტიმურ მიზანსა და აუცილებლობაზე მსჯელობამდე, კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია, განმარტა, რომ კონსტიტუციური ცვლილებებით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგებისას, ადგილობრივ ხელისუფლებას, საკმაოდ ვიწრო მიხედულობის ფარგლები ენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ კანონის შინაარსი, შესაძლოა საზოგადოებისათვის სენსიტიურ, მორალურ და ეთიკურ საკითხებს შეეხებოდეს.

¹¹⁶ Case of Identoba and Others v. Georgia, para:95

¹¹⁷ იქვე.პარა№69

ვინაიდან, მეტად მტკიცეა, ევროპული კონსენსუსი და თანხმობა, ნებისმიერი სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებული პირის მიერ, საკუთარი უფლებებით ღიად და თავისუფლად სარგებლობის მნიშვნელობის შესახებ.¹¹⁸

საგულისხმოა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა, კანონის განსაზღვრულობისა და ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. კომისიის დასკვნით, შეკრებისა და გამოხატვის მზღლუდავი ნორმები, მოკლებულია აუცილებელ სიზუსტესა და სიცხადეს. კომისიის აზრით, დაუშვებელია, რომ ნორმებში, რომლებიც ასე უხეშად ერევა, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებულ უფლებებში, გამოყენებული იყოს, იმგვარი ბუნდოვანი და ფართო დეფინიციის ტერმინები, როგორცაა „შეკრება“, „პოპულარიზაცია“ და „გავრცელება“. კანონში არსებული ბუნდოვანება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა და ამდენად, ვერ პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას.¹¹⁹

დამატებით, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, კონსტიტუციური კანონის ფარგლები გაუმართლებლად ფართოა და არა მხოლოდ, ბავშვისათვის საფრთხისშემცველ კონტენტსა და უხამსობას არეგულირებს, არამედ შეეხება, ნებისმიერ იმ გამოხატვას, აზრსა და შეკრებას, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ურთიერთობის მიმართ მიმღებლობასა და მხარდაჭერას გამოავლენს. ამრიგად, კომისიის დასკვნაა, რომ ინიცირებული კანონპროექტის ის მუხლები, რომლებიც შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს, არ პასუხობს განსაზღვრულობის მოთხოვნას და ამავედროულად, არ არის განმარტებით ბარათში დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება.¹²⁰

¹¹⁸ იქვე.პარა№71-72

¹¹⁹ იქვე.პარა№73-76

¹²⁰ იქვე.

შეჯამება

ლბტ(ქ)ი ჯგუფი, ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში, რომლის მიმართაც სტიგმა და დისკრიმინაცია, დამკვიდრებულ პრაქტიკადაა ქცეული. მიუხედავად, საკანონმდებლო აქტებში მოაზრებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმებისა, სახელმწიფოს მიდგომა ლბტ(ქ)ი პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ყოველთვის ზედაპირული და ფრაგმენტული იყო, რის გამოც, დისკრიმინაციული ადმინისტრაციული პრაქტიკის ფონზე, ისინი ვერასდროს ახერხებდნენ დეკლარაციულად დაცული უფლებების რეალიზებას. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა აჩვენებს, არსებული საკანონმდებლო ინიციატივა ლბტ(ქ)ი ადამიანებს საბოლოოდ უუქმებს იმ კატეგორიის უფლებებს, რომელიც მათ საკანონმდებლო დონეზე საქართველოში ისედაც არ ჰქონიათ (e.g. ქორწინების უფლება, სქესის სამართლებრივი აღიარება), ან მათი რეალიზება პრაქტიკაში არასდროს ხდებოდა (შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება). აღნიშნული მიგნება კიდევ ერთხელ აჩვენებს წარმოდგენილი ინიციატივის პოლიტიკურ ბუნებას.

ქვეყანაში მიმდინარე დრამატული გეოპოლიტიკური და ავტორიტარული ტენდენციების ფონზე აშკარა გახდა, რომ ხელისუფლებამ ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების სტრატეგია აირჩია. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ჰომოფობია საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკისა და დისკურსის ნაწილი გახდა. თუ წინა წლებში ხელისუფლებების მხრიდან ლბტ(ქ)ი უფლებების იგნორირებასა და სხვადასხვა მემარჯვენე და კლერიკალური ჯგუფების მიმართ ლოიალობის პრობლემას ვუსვამდით ხაზს, დღეს ხელისუფლება თავად წარმოადგენს იმ ძირითად აქტორს, რომელიც ლბტ(ქ)ი ადამიანების საბაზისო უფლებების აღიარებას ნორმატიულად უპირისპირდება და ლბტ(ქ)ი ადამიანების წინააღმდეგ ყველაზე მარგინალურ პოლიტიკურ და სოციალურ დისკურსებს იყენებს. ამ ტიპის ჰომოფობიას სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ჰომოფობია შეიძლება ვუწოდოთ და ის მკვეთ წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. ხელისუფლების მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებები, ჰომოფობიისა და სოციალური სიმულვილის ინსტრუმენტალიზების გზით, ლბტ(ქ)ი პირებს, საბაზისო უფლებრივი გარანტიების მიღმა ტოვებს და მათი სისტემური ჩაგვრისა და სტიგმატიზების გზას ირჩევს და სიმულვილისთვის და გარიყულობისთვის ისედაც ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სოციალურ ჯგუფს სწირავს.

მიუხედავად იმისა რომ ერთ შეხედვით ხელისუფლება ცდილობს მის რიტორიკაში გამიჯნოს ლბტ(ქ)ი ადამიანების უფლებების დაცვის საკითხები და მისი თქმით, ლბტ(ქ)ი პროპაგანდა, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ექსპლიციტურად მოდის წინააღმდეგობაში საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებსა და უფლებრივ სტანდარტებთან. ინიცირებული საკანონმდებლო აქტების მიღება არა ერთ შემთხვევაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულების პრობლემასაც კი წარმოშობს საქართველოსთვის, რაც საერთაშორისო სამართლის სისტემასთან დაპირისპირების უფრო დიდ ნორმატიულ პრობლემას აჩენს.

ამასთან აშკარაა, რომ აღნიშნული კანონპროექტების მიღება წინააღმდეგობაში მოდის ევროინტეგრაციის ამოცანებთანაც, რომლის ფუნდამენტური პრინციპიც, სწორედ დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობის იდეის დაცვაა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღება ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში მოვა ვიზალიბერალიზაციის პროცესში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან და მათ შორის, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებასთან. ცხადია, რომ ეს კანონო ევროპეიზაციის გზაზე საქართველოს უკუსვლის კიდევ ერთი სისტემური მიზეზი გახდება. უფრო მეტიც, აღნიშნული ინიციატივით ქართული ოცნების ხელისუფლება იმეორებს რუსეთისა და მისი ორბიტის ქვეშ მოქმედი ავტოკრატიული სისტემების ნორმატიულ ლოგიკას და პოლიტიკურ სტრატეგიებს, რომელიც ერთის მხრივ, ცდილობს საზოგადოების შიმშების, აფექტების მობილიზაციას და ამგვარად პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას, მეორეს მხრივ, კი ანტიევროპული რიტორიკის გაძლიერებას თითქოსდა ტრადიციული, რელიგიური ღირებულებების საპირწონედ. ამდენად, ჰომოფობიისა და დისკრიმინაციის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების მცდელობით, საქართველოს ხელისუფლება პრორუსული ავტოკრატიების კიდევ ერთ მარკერს იძენს და მათ რიგებში ეწერება.